

## სარჩევნი

2018 წლის მოკლე მიმოხილვა	4
საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	5
არასახელმწიფო საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში	7
შესავალი	7
მართვა და აღმინისტრირება	8
ინვესტიციები	10
საპენსიო სქემის წევრები და პენსიონერები	13
ბადახდილი სარგებელი	14
აუდიტის დასკვნა	15
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	15
წლიური ანგარიშები	17
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	21

## 2018 წლის მოკლე მიმოხილვა

2018 წელს საპენსიო სქემის წლიური მომგებიანობა იყო +9.69%. შექმნის დღიდან საპენსიო სქემის წლიური მომგებიანობა არის +9.73%, ხოლო მოგება 433,338 ლარამდე გაიზარდა.

ბოლო წლებში კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, რომელთაგან აღსანიშნავია:

- 2017 წელს საგადასახადო შეღავათების დაწესება ფასიან ქალაქებთან დაკავშირებით;
- 2018 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ბელგიის ფასიანი ქალაქების საზედამხებველო ორგანოს (FSMA) შორის ფასიანი ქალაქების კანონმდებლობის ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2019 წლიდან ქვეყანაში დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2017-2018 წლებში შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო ფონდის ფინანსური მდგომარეობა და საპენსიო სქემის ძირითადი კატეგორიების მიხედვით მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები.

	12/31/2018	12/31/2017
<b>ფინანსური მდგომარეობა</b>		
საპენსიო სქემის კაპიტალი	3,401,392	3,492,620
საღაზღვევო ტექნიკური რეზერვები	5,571,332	2,328,188
სოციალური შენატანები	2,947,837	2,253,592
ბალახდელი სარბეხელი	63,436	-
საინვესტიციო მოგება	358,743	74,596
<b>სოციალური შენატანები</b>		
ღამსაქმებლის სოციალური შენატანი (%)	18.0%	18.0%
მონაწილის სოციალური შენატანი (%)	7.0%	7.0%
ბენეფიციარები	-	-
ბალახდელი სარბეხელი/მონაწილეთა რაოდენობა	10	-
მონაწილეები	536	522
<b>საინვესტიციო მოგება</b>		
საინვესტიციო მოგება შექმნის ღირღან	433,338	74,596
ბაჟლიურებული მოგებაიანობა შექმნის ღირღან	9.7%	9.9%
პერიოდის მოგებაიანობა	9.7%	9.9%


## საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭოს აქვს პატივი წარმოგიდგინოთ საპენსიო სქემის 2018 წლის ანგარიში.

საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად კაპიტალის ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ღირებულება კვლავ მცირეა, თუმცა ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია. 2018 წელს, ობლიგაციების ბაზარზე 714 მლნ ლარის ღირებულების ემისია განხორციელდა, რაც 7-ჯერ აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდების მოცულობამ მთლიანი ობლიგაციების 75% შეადგინა.

საპენსიო სქემის შექმნის დღიდან წლიური მომგებიანობა არის +9.73%, მოგებამ სქემის შექმნის დღიდან მიაღწია 433,338 ლარს. 2018 წელი იყო წარმატებული წელი სქემისათვის +9.69% მომგებიანობით.

წლის განმავლობაში, საპენსიო სქემის აქტივები 2,328,188 ლარიდან 5,571,332 ლარამდე გაიზარდა. დამატებით განხორციელდა 2,884,401 ლარის ინვესტირება და 2018 წელს მიღებულმა საინვესტიციო მოგებამ 358,743 ლარი შეადგინა.



საკენსიო სქემის აქტივების მართვა ეროვნული ბანკის მიერ სერთიფიცირებული აქტივების მმართველი კომპანიის, შპს „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ და ცენტრალურ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ბრძანებით სადაზღვევო რეზერვების დასაფარდ დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საკენსიო სქემის ადმინისტრირება ხორციელდება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან და შიდა კონტროლის საუკეთესო პრაქტიკასთან სრული შესაბამისობით, რომელიც საინვესტიციო პორტფელის რისკიანობის პერიოდულ (ყოველკვარტალურ) გადახედვას ითვალისწინებს. კერძოდ მისაღები რისკიანობის დადგენის მიზნით აქტივების მმართველი კომპანიის, საინვესტიციო კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად ხორციელდება რისკის შემცველი კომპონენტების (საპროცენტო განაკვეთის რისკის, გაცვლითი კურსის რისკის, ლიკვიდურობის რისკისა და დეფოლტის რისკის) ანალიზი.

2017 წელს არსებული მთლიანი საინვესტიციო მოგების საპროცენტო განაკვეთი (9.88%) 2018 წელს უმნიშვნელოდ შემცირდა (9.69%) თუმცა 2017 წელს დაფიქსირებული ინფლაციის მაჩვენებელი (6.04%) მნიშვნელოვნად შემცირდა (2.62%) და 2017 წელს არსებული წმინდა საინვესტიციო მოგება, 3.85 პროცენტიდან 2018 წელს 7.08 პროცენტამდე გაიზარდა.

დეფოლტის რისკის მინიმიზაცია ხდება საინვესტიციო ინსტრუმენტის ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის შესწავლით/ანალიზით და ამავდროულად, პორტფელის დივერსიფიკაციის საფუძველზე. 2018 წელს პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით დამატებით შემენილი იქნა საქართველოს ბანკის, ტერა ბანკის, ლიბერთი ბანკის, ვითიბი ბანკისა და ბაზის ბანკის 15 ახალი დეპოზიტი.

ნინო ჯიბუტი  
თბილისი, 30/05/2019



## საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში

### შესავალი

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა დაარსდა 2015 წლის 30 დეკემბერს სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის №07/1-ს ბრძანების საფუძველზე. სქემა არის პროფესიული საპენსიო სქემა და მასში გაწევრიანება შეუძლია შპს „საქაერონავიგაციის“ იმ თანამშრომლებს, რომლებიც 24 თვის მანძილზე იმყოფებიან შპს „საქაერონავიგაციასთან“ შრომით ურთიერთობაში. საპენსიო სქემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მისი ადმინისტრირება ხორციელდება შპს „საქაერონავიგაციის“ სტრუქტურული ერთეულის, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წელს საპენსიო სქემის წმინდა აქტივების ცვლილება საპენსიო სქემის ძირითადი კომპონენტების მიხედვით.

<b>სქემის აქტივები 31/12/2017</b>		<b>2,328,188</b>
<b>შემოსავალი</b>		
+	დამსაქმებლის სოციალური შენატანი	2,122,443
+	მონაწილის სოციალური შენატანი	825,394
<b>ხარჯი</b>		
-	ბაღახლილი პენსია/საპენსიო დანაბროვი	(63,436)
±	საინვესტიციო მოგება/ზარალი	384,773
-	ხარჯები	(26,030)
<b>სქემის აქტივები 31/12/2018</b>		<b>5,571,332</b>

საპენსიო სქემის მოკლე აღწერა და სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის პირველ და მეორე შენიშვნაში. შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესი იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: [www.pension.airnav.ge](http://www.pension.airnav.ge)

## მართვა და ადმინისტრირება

### საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭო

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭო საპენსიო სქემის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც ზედამხედველობს შპს „საქაერონავიგაციის“ საპენსიო სქემის მონაწილეთა არასახელმწიფო პენსიებით უზრუნველყოფას და იცავს მათ ინტერესებს არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადგენს საპენსიო სქემის წესებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის რეგისტრაციის მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის 2000 წლის 3 სექტემბრის №29 ბრძანების მოთხოვნათა საფუძველზე მოხდა კომპანიის პროფესიული კავშირის მიერ 2015 წლის 17 სექტემბრის კრებაზე. 2018 წლის 30 ნოემბერს მოწვეული იქნა შპს „საქაერონავიგაციის“ პროფესიული კავშირისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილეთა კრება, სადაც მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობის განახლება.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 4 წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი წარმოდგენილია საპენსიო სქემის მონაწილეებისაგან, ხოლო მეორე ნახევარი არ არიან საპენსიო სქემის მონაწილეები:

	სახელი და გვარი	თანამდებობა
თანმჯდომარე	ნინო ჯიბუტი	შპს "საქაერონავიგაციის" კორპორაციული მართვის მენეჯერი
თანმჯდომარის მოადგილე	ლევან კარანაძე	სსიპ "სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს" დირექტორი
წევრები	ზურაბ კოკლატაძე	სსიპ "სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს" საჰაერო-მკონოპიკური ანალიზის დეპარტამენტის უფროსი
	რომან კარანაძე	შპს "საქაერონავიგაციის" უფროსი ავიამეთვალყურე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავის მოვალეობას ასრულებენ გასამრჯელოს გარეშე. სამეთვალყურეო საბჭოს დებულება ატვირთულია საპენსიო სქემის ვებგვერდზე [www.pension.airnav.ge](http://www.pension.airnav.ge)

საინვესტიციო კომიტეტი

საინვესტიციო კომიტეტი წარმოადგენს შპს „საქაერონავიგაციის“, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, მიერ შექმნილ მმართველ ორგანოს, რომელსაც შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივებით განხორციელებული ინვესტიციების ზედამხედველობა ევალება.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის საინვესტიციო კომიტეტი შედგება 5 წევრისაგან:

<b>ირაკლი ზაქარაიშვილი</b>	ფინანსების მართვის საკითხების მენეჯერი
<b>სოფიო ტუშაბერიძე</b>	ბენერალური ღირებულების მონიტორინგის უპროცესორთან ურთიერთობის დარბეზი
<b>ბადრი ჯიჯელავა</b>	მეტიეროლოგიური სამსახურის უფროსი
<b>თამარ ოლიაშვილი</b>	არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
<b>რომან კახაიშვილი</b>	საპროექტო მართვის სამსახურის უფროსი მეთვალყურე

საინვესტიციო კომიტეტის წევრები თავის მოვალეობას ასრულებენ გასამრჯელოს გარეშე. საინვესტიციო კომიტეტის დებულება ატვირთულია საპენსიო სქემის ვებგვერდზე [www.pension.airnav.ge](http://www.pension.airnav.ge)

არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახური

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის ადმინისტრირება ხორციელდება შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების და სამსახურის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახური შედგება 4 თანამშრომლისაგან:

<b>თამარ ოლიაშვილი</b>	სამსახურის უფროსი
<b>ივანე კვიციანი</b>	ფინანსური მართვის სპეციალისტი
<b>ბიორგი ხარაიშვილი</b>	იურიდიული საკითხების სპეციალისტი
<b>ანა ბუღორღავა</b>	კოორდინატორი



## აუდიტი

საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიში ექვემდებარება წლიურ აუდიტს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნათა შესაბამისად.

აუდიტორული კომპანიის შერჩევა ხდება შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## **ინვესტიციები**

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივების ინვესტირება რეგულირდება „სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით.

## აქტივების მმართველი კომპანია

არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივების მართვას/ინვესტირებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის ფორმირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული კონკურსის შედეგად 2017 წლის 24 მაისს გაფორმდა საპენსიო აქტივების მართვის ხელშეკრულება აქტივების მმართველ კომპანიასთან (სს „გალტ & თაგარტი“). ასევე, გაფორმებული იქნა სამმხრივი ხელშეკრულება სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების შესახებ. აქტივების მმართველი კომპანიის შესახებ დამატებით ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: [www.galtandtaggart.com](http://www.galtandtaggart.com)

## საინვესტიციო სტრატეგია

საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანი არის უზრუნველყოს საპენსიო აქტივების სტაბილურობა. შესაბამისად მიმდინარე საინვესტიციო სტრატეგია ითვალისწინებს დაბალი რისკის გაწევას სტაბილური შემოსავლის მიღების მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და საქართველოში არსებული კაპიტალის ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით საპენსიო სქემის აქტივები განთავსებულია მხოლოდ ქვეყნის შიგნით სამი სახის ფინანსურ ინსტრუმენტში: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები,



დეპოზიტები და მოთხოვნამდე ანაზარი. საპენსიო სქემის დაფუძნებიდან 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციები სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ნორმებთან.

აქტივის კატეგორია	ქვედა ზღვარი	ალოკაცია	ზედა ზღვარი
მთავრობების სასესხო ფასიანი ქაღალდები	0%	2%	50%
დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში	0%	88%	90%
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანაზარი	10%	10%	100%

2018 წლის ბოლოსთვის აქტივების მთლიან მოცულობაში საქართველოს მთავრობის სასესხო ფასიან ქაღალდებს უკავია 2%, დეპოზიტებს საბანკო დაწესებულებებში 88% და მოთხოვნამდე ანაზარს 10%. აქტივების მმართველი კომპანიის მიერ 2018 წელს მაქსიმალურად განხორციელდა საპენსიო აქტივების დივერსიფიკაცია ზემოთაღნიშნული ძირითადი სამი კატეგორიის მიხედვით.


აქტივის დასახელება	ქვედა ზღვარი	ალოკაცია	ზედა ზღვარი
სახაზინო ობლიგაციები	0%	2%	30%
მთავრობების სასესხო ფასიანი ქაღალდები	0%	2%	50%
საქართველოს ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	0%	19%	30%
ტმრა ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	0%	18%	30%
ლიბერთი ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	0%	19%	30%
კაშა ბანკის ვალიანი დეპოზიტი	0%	3%	30%
ვითიზი ბანკის ვალიანი დეპოზიტი	0%	6%	30%
ბაზის ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები	0%	23%	30%
დეპოზიტები საბანკო დაწესებულებებში	0%	88%	90%
საქართველოს ბანკის მოთხოვნამდე ანაზარი	0%	10%	20%
ფული საღაროში, მიმდინარე და მოთხოვნამდე ანაზარზე	10%	10%	100%

საპენსიო სქემის ამოქმედებიდან (2017 წლის 1 მარტი) 4,942,804.45 ლარის ინვესტირება განხორციელდა. ამ ინვესტიციების საბაზრო ღირებულებამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 5,332,331.14 ლარი, რაც 9.73%-იან წლიურ მომგებიანობას შეესაბამება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საპენსიო სქემის ამოქმედებიდან 2017-2018 წლების მთლიანი (ინფლაციის გამოკლების გარეშე) და წმინდა (ინფლაციის გამოკლებით) წლიური მომგებიანობა.


წელი	2018	2017	2017-2018
მომგებიანობა	9.7%	9.9%	9.7%
ინფლაცია	2.6%	6.0%	4.3%
შედეგითი მომგებიანობა	7.1%	3.8%	5.4%

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი გვიჩვენებს, საინვესტიციო თანხებსა და აქტივების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობებს.




## საპენსიო სქემის წევრები და პენსიონერები

სულ 2018 წლის ბოლოს შპს „საქაერონავიგაციაში“ დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 804 ადამიანი. სქემაში გაწევრიანებულია 534 თანამშრომელი (67%), ხოლო 270 თანამშრომელი (33%) არაა სქემის მონაწილე, საიდანაც 50 თანამშრომელს (6%) არ აქვს საკმარისი სამუშაო სტაჟი და შესაბამისად, ჯერ არ აქვს სქემაში გაწევრიანების უფლება.



საპენსიო ასაკი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალებისათვის არის 60 წელი, ხოლო მამაკაცებისათვის - 65. ჩვენი საპენსიო სქემა საპენსიო ასაკს მიღწეულ თანამშრომლებს, კანონმდებლობის გათვალისწინებით, საშუალებას აძლევს მოახდინოს საპენსიო ასაკის გადავადება. საპენსიო ასაკის გადავადების უფლებით ისარგებლა 78-მა თანამშრომელმა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საპენსიო სქემის მონაწილეთა დინამიკა მონაწილეთა სქესისა და წლების მიხედვით.



### ბაღახლილი სარბეგელი

2018 წლის განმავლობაში საპენსიო სქემის 10 მონაწილეზე განხორციელდა საპენსიო დანაგროვის გაცემა. გაცემულმა საპენსიო დანაგროვმა შეადგინა 63,435.72 ლარი:

კატეგორია	2018	2017
საპენსიო დანაგროვის გაცემა მონაწილეებზე	61,976.88	-
საპენსიო დანაგროვის გაცემა მემკვიდრეებზე	1,458.84	-
<b>სულ</b>	<b>63,435.72</b>	-

# აუდიტის დასკვნა

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



BC Menteshvili Rows  
7 Bambis Rigi Street  
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქაერონავიგაციის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

#### დასკვნა

ჩვენ განვახორციელეთ შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის 2018 წლის 31 დეკემბრით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისა და მასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნების (ერთობლივად „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი.

ჩვენი მოსაზრებით, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით საკითხში სამართლიანად ასახავს შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებსა და ხარჯებს, აგრეთვე ფულად ნაკადებს ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ში მოცემული საადიცივო პოლიტიკის შესაბამისად.

#### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას აუდიტორის პასუხისმგებლობის თავში. ჩვენ ვართ უნივერსიტეტისა და მისი პარტიორებისაგან დამოუკიდებელი პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების შესაბამისად და ჩვენ შევასრულეთ ამ კოდექსით განსაზღვრული ყველა ეთიკური მოთხოვნა. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის საწარმოებლად.

#### აღსაღნიშნავი გარემოება - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველები და გამოყენების შეზღუდვა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ზე, სადაც განმარტებულია, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საპენსიო სქემის (რომელიც წარმოადგენს შპს "საქაერონავიგაცია"-ს, როგორც დამფუძნებლისა და სქემაში ჩართული მისი თანამშრომლების ურთიერთობათა სისტემას) ვირტუალური ფინანსური პოზიციის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე ფულადი ნაკადების წარდგენის მიზნით. ამგვარად, სპეციალური ფინანსური ანგარიშგების გამოყენება, შესაბამისი კანონმდებლობისა და შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესის გაუთვითენობიერებლი პირებისათვის შესაძლოა გამოუსადეგარი იყოს. ამ გარემოების გამო ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

#### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

შპს "საქაერონავიგაცია"-ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ში მოცემული საადიცივო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმგვარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით განპირობებულ არსებით უზუსტობას.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის



გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენსა და შპს "საქაერონავიგაცია"-ს ხელმძღვანელობას შორის შემდგარია კომუნიკაცია მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა დაგეგმილი აუდიტის მასშტაბი, აუდიტის განხორციელების დრო, აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი  
პარტნიორი  
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია  
16 მაისი, 2019 წელი  
თბილისი, საქართველო


## ფლიური ანგარიშები

შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა  
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში)

სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	2018	2017
წმინდა აქტივები 1 იანვარს	2,328,188	-
<b>შენატანები</b>		
დამქირავებლისაგან მიღებული შენატანები	1,937,152	1,457,267
დასაქმებულთაგან მიღებული შენატანები	753,337	566,715
<b>სულ მიღებული შენატანები</b>	<b>2,690,489</b>	<b>2,023,982</b>
დამქირავებლისაგან მისაღები შენატანები	185,291	165,319
დასაქმებულთაგან მისაღები შენატანები	72,057	64,291
<b>სულ მისაღები შენატანები</b>	<b>257,348</b>	<b>229,610</b>
<b>სულ შენატანები</b>	<b>2,947,837</b>	<b>2,253,592</b>
საპროცენტო სარგებელი	384,773	79,526
<b>ჯამური ზრდა</b>	<b>3,332,610</b>	<b>2,333,118</b>
ადმინისტრაციული ხარჯები	(26,030)	(4,930)
გაცემული საპენსიო საზღაური	(63,435)	-
<b>ჯამური შემცირება</b>	<b>(89,465)</b>	<b>(4,930)</b>
<b>წმინდა აქტივები 31 დეკემბერს</b>	<b>5,571,333</b>	<b>2,328,188</b>

  
ბნ. გ. მავრიშვილი, გენერალური დირექტორი

  
ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი




შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა  
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში)

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2018	31-12-2017
<b>კაპიტალი</b>			
საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალი		3,014,014	3,014,014
გაუნაწილებელი მოგება		387,379	478,606
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>3,401,393</b>	<b>3,492,620</b>
<b>ვალდებულებები</b>			
საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულება		5,571,333	2,328,188
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>5,571,333</b>	<b>2,328,188</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>8,972,726</b>	<b>5,820,808</b>
<b>აქტივები</b>			
მოთხოვნამდე არსებული საბანკო დეპოზიტები		3,401,393	3,492,620
სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	3	5,571,333	2,328,188
<b>სულ აქტივები</b>		<b>8,972,726</b>	<b>5,820,808</b>

  
 მ. ა. მიხელიძე, გენერალური დირექტორი

  
 მ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი


წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 16 მაისს

შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა  
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ლარში)

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2018 დასრულებული წლისათვის	31.12.2017 დასრულებული წლისათვის
<b>მიღებული ფული</b>		
შენატანები	2,920,099	2,023,982
დამსაქმებლის შენატანები	2,102,471	1,457,267
მონაწილეთა შენატანები	817,628	566,715
საპროცენტო სარგებელი სხვა შემოსულობები	358,773 62,159	308,114
<b>სულ მიღებული ფული</b>	<b>3,341,031</b>	<b>2,332,097</b>
<b>გაცემული ფული</b>		
ფასიანი ქაღალდების შეძენა	-	(110,538)
მოკლევადიან მოთხოვნამდე დეპოზიტებზე განთავსება	(218,708)	(471,444)
გრძელვადიან დეპოზიტებზე განთავსება	(2,700,114)	(1,442,000)
გაცემული საპენსიო უზრუნველყოფა	(63,436)	-
ფონდის უზრუნველყოფის ანგარიშიდან ნამეტო პროცენტის გატანა	(450,000)	-
<b>სულ გაცემული ფული</b>	<b>(3,432,258)</b>	<b>(2,023,982)</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)</b>	<b>(91,227)</b>	<b>308,114</b>
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,492,619	3,184,505
<b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>3,401,392</b>	<b>3,492,620</b>

  
ბნ. გ. მახვირიშვილი, გენერალური დირექტორი

  
ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი

შპს "საქაერონავიგაცია"-ს არასახელმწიფო საპენსიო სქემა  
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში)


სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შეცვლული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	3,014,014	170,492	3,184,505
წმინდა სარგებელი		308,114	308,114
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,014,014</b>	<b>478,606</b>	<b>3,492,620</b>
წმინდა სარგებელი		358,773	358,773
არა-შეზღუდული სარგებლის გატანა		(450,000)	(450,000)
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>3,014,014</b>	<b>387,379</b>	<b>3,401,393</b>

წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 16 მაისს



ბნ. გ. მუზვიშვილი, გენერალური დირექტორი



ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური მენეჯერი



# ახსნა-განმარტავი შენიშვნები

## შპს საქერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ლარში)

### ახსნა-განმარტავი შენიშვნები

#### 1. საპენსიო სქემა

შპს „საქერონავიგაციის“ საპენსიო სქემა დაარსდა 2015 წლის 30 დეკემბერს შპს „საქერონავიგაციის“ თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. სქემა დადგენილშენატანია.

შპს „საქერონავიგაციის“, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის და შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის რეგისტრაცია განხორციელდა სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის 2015 წლის 30 დეკემბრის №07/1-ს ბრძანების საფუძველზე. საპენსიო სქემა იმართება შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის წესის შესაბამისად. საპენსიო სქემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, საკანონმდებლო და საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე. საპენსიო სქემის აქტივები გამოიყენება ექსკლუზიურად მხოლოდ თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით. შპს „საქერონავიგაციის“ სხვა ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით საპენსიო აქტივების გამოყენება აკრძალულია.

შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა წარმოადგენს დამსაქმებლის პროფესიულ სქემას, სადაც განსაზღვრულია შენატანების ოდენობა და დამფუძნებლის ვალდებულება შექმნას მონაწილეთა სახელობითი საპენსიო დანაგროვი და მის ხარჯზე რეგულარულად გასცეს პენსიები სქემის წესისა და მონაწილეთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საპენსიო სქემის მონაწილეების სოციალური შენატანები შეიძლება დაეკრძალოს დამსაქმებლის მხრიდან და დასაქმებულის მხრიდან განხორციელებულ სოციალურ შენატანებზე. შენატანების განაკვეთი დამსაქმებლისათვის შეადგენს დასაქმებულის ძირითადი ხელფასის 18%-ს, ხოლო დასაქმებულის მხრიდან 7%-ს.

2015 წლის 17 სექტემბერს შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის რეგისტრაციის მიზნით შეიქმნა შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის მინიმალური კაპიტალის სპეციალური ანგარიში (შემდგომში სპეციალური ანგარიში) სადაც განთავსებული იქნა 3,000 ლარი. შპს „საქერონავიგაციის“ და შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების განვალკვებულად წარმოებისა და ამ ჩანაწერების საფუძველზე შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით 2015 წლის 17 სექტემბერს სპეციალურ ანგარიშზე გადატანილ თანხაზე (3,000 ლარი) და 2016 წლის 1 იანვრამდე მასზე დარიცხული პროცენტი (14). 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის სპეციალურ ანგარიშზე დარიცხული პროცენტები, ჯამში 170 ლარი შპს „საქერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის ბუღალტრულ ჩანაწერებში აისახა საპროცენტო შემოსავლების შესაბამის ანგარიშზე.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის საპენსიო სქემაში მონაწილეობს შპს „საქერონავიგაციის“ 536 თანამშრომელი (2017: 522). საპენსიო სქემის ფულადი აქტივები მოიცავს მოთხოვნამდე ანაბარზე არსებულ აქტივებს, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

#### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

**მომზადების საფუძველი** სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებისა და დარიცხვის მეთოდით, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის 26-ე სტანდარტის - „საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“ გამოყენებით.

ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდისათვის.

**წარსადგენი ვალუტა** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

**აქტივები და ვალდებულებები** წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით.

**შპს საქაერონავიგაცია**

**2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის  
(თანხები მოცემულია ლარში)**

**დაფინანსება.** სქემის დაფინანსება ხორციელდება დამკირავებლისა და მონაწილეების დადგენილი პერიოდული შენატანების გადაცემით საპენსიო სქემის მმართველისათვის მათი ფასიან ქაღალდებში, წილობრივ ინსტრუმენტებში ან/და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებისათვის და სარგებლის გამომუშავებისათვის.

**შემოსავალი.** შემოსავალი წარმოადგენს (აქტივების მმართველის მიერ) განთავსებული ინვესტიციების მიერ გამომუშავებულ სარგებელს

**3. საინვესტიციო აქტივები**

	<b>31-12-2018</b>	<b>31-12-2017</b>
<b>ფასიანი ქაღალდები</b>	<b>112,911</b>	<b>112,911</b>
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (16.07.2020)	61,797	61,797
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები (16.08.2027)	51,114	51,114
<b>მოკლევადიანი დეპოზიტები</b>	<b>539,442</b>	<b>496,845</b>
ფული მიმდინარე ანგარიშზე	539,442	287,685
12-თვიანი ანაბარი	-	209,160
<b>გრძელვადიანი დეპოზიტები</b>	<b>4,679,979</b>	<b>1,489,992</b>
12-თვემდე პერიოდში განაღდებადი დეპოზიტები	1,839,432	-
გრძელვადიანი დეპოზიტები	2,840,547	1,489,992
<b>მისაღები თანხები</b>	<b>257,348</b>	<b>229,610</b>
დამსაქმებლის შენატანები	185,291	165,319
მონაწილეთა შენატანები	72,057	64,291
<b>გასაცემი თანხები</b>	<b>(18,347)</b>	<b>(1,170)</b>
საინვესტიციო მოვების გასაშრგელო	(18,347)	(1,170)
<b>წმინდა საინვესტიციო აქტივები</b>	<b>5,571,333</b>	<b>2,328,188</b>





## საქართველოს ეროვნული ავიაციის ავტორიტეტი

ივნისი 2019 - © საქართველოს საეროაოსნო მომსახურების პროვაიდერი საწარმო (შპს „საქაერონავიგაცია“)

წინამდებარე ანგარიში გამოქვეყნებულია შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ საინფორმაციო მიზნებისთვის. ანგარიშის გამოყენება შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად, იმ პირობით, რომ წყაროდ მითითებული იქნება შპს „საქაერონავიგაცია“ და არ მოხდება ანგარიშის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის (მაგ. ფინანსური მოგებისთვის). დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება შეიცვალოს შპს „საქაერონავიგაციის“ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

[WWW.AIRNAV.GE](http://WWW.AIRNAV.GE)